

“საქართველოს საფონდო ბირჟის”

ვაჭრობის წესები

დამტკიცებულია:

სს საქართველოს საფონდო ბირჟის აქციონერთა
საერთო კრების მიერ

1999 წელი, 26 სექტემბერი, ოქმი N4

ცვლილებები და დამატებები შეტანილია:

საქართველოს ფასიანი ქაღალდების
ეროვნული კომისიის მიერ
გაცემულია თანხმობა:

სს საქართველოს საფონდო ბირჟის
სამეთვალყურეო საბჭოს მიერ

14.03.2000 წ. (წინასწარი)	2000 წელი, 20 მარტი	ოქმი N1
26.09.2002 წ.	2002 წელი, 24 სექტემბერი	ოქმი N6
16.01.2003 წ.	2002 წელი, 23 დეკემბერი	ოქმი N8
16.06.2003 წ.	2003 წელი, 14 მაისი	ოქმი N4
17.07.2003 წ.	2003 წელი, 25 ივნისი	ოქმი N5
18.12.2003 წ.	2003 წელი, 14 ნოემბერი	ოქმი N8
26.11.2004 წ.	2004 წელი, 10 ნოემბერი	ოქმი N4
04.04.2006 წ.	2006 წელი, 3 აპრილი	ოქმი N3
22.06.2006 წ.	2006 წელი, 21 ივნისი	ოქმი N5
24.02.2007 წ. (ძალაშია, თანხმობა არ მოსულა)	2007 წელი, 24 იანვარი	ოქმი N1
12.04.2007 წ.	2007 წელი, 16 მარტი	ოქმი N2
29.08.2007 წ.	2007 წელი, 17 აგვისტო	ოქმი N6
	2009 წელი, 17 თებერვალი	ოქმი N1
	2023 წელი, 22 დეკემბერი	ოქმი N9

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. განმარტებები	4
2. ვაჭრობის წესების მოქმედების სფერო	7
3. თანმხლები დოკუმენტები და დანართები	7
4. სავაჭრო სისტემის მუშაობის საათები	7
5. სავაჭრო სისტემაში სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდები	7
6. ბირჟის წევრთა უფლებები და მათდამი წაყენებული მოთხოვნები	8
7. მომსახურების ღონეები	8
8. ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე წევრთა მოვალებები	8
9. სავაჭრო განაცხადით წარმოშობილი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება	10
10. სავაჭრო სისტემაში მონაწილეობის მიღების უფლების შეჩერება წევრისათვის ან ბროკერისათვის	10
11. სავაჭრო მდგომარეობა ბაზარზე	11
12. სავაჭრო სისტემაში შესვლამდე საჭირო პროცედურები	11
13. სავაჭრო სისტემაში კლიენტის განაცხადის შეტანისათვის საჭირო წინასწარი პროცედურები	11
14. სისტემაში სავაჭრო განაცხადის შეტანა	12
15. სავაჭრო განაცხადის პარამეტრები	12
16. სავაჭრო განაცხადების სისტემაში შეყვანის წესები	13
17. სავაჭრო სისტემის მიერ ნებადართული გარიგებების ტიპები და განხორციელების ხერხები	14
17 ¹ . გარიგებების დაფიქსირება სავაჭრო სისტემაში	13
18. წევრებისათვის გარიგების განხორციელებაზე შეზღუდვები	17
19. მოთხოვნები გარიგებების ანგარიშგებაზე	18
20. სავაჭრო განაცხადის სავაჭრო სისტემაში შეყვანის პრიორიტეტები	19
21. ზედამხედველობა	19
22. ამ წესებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა	19
საგნობრივი საძიებელი	22

საქართველოს საფონდო ბირჟის

ვაჭრობის წესები

1. განმარტებები

ამ წესების მიზნებისთვის ქვემოთ მოყვანილ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

- 1.1. **“ელექტრონული სავაჭრო სისტემა”** ან **“სავაჭრო სისტემა”** ან **“სისტემა”** – ტექნიკური და პროგრამული საშუალებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდებით გარიგებების დადებას და გარიგებებთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვას, დამუშავებასა და გახსნას.
- 1.2. **“ვაჭრობა”** – წევრის მიერ უზრუნველყოფის ანგარიშზე არსებული რესურსებით (ფასიანი ქაღალდები ან ფულადი სახსრები) უზრუნველყოფილი სავაჭრო განაცხადის შეტანა სისტემაში გარიგების დადების მიზნით და გარიგებების დადება უზრუნველყოფის ამ რესურსების გაცვლით გარიგების მხარეებს შორის. აუცილებელი უზრუნველყოფის რესურსების ოდენობასა და მათი აღრიცხვის პროცედურას განსაზღვრავს ბირჟის მმართველი ორგანო.
- 1.3. **“ვაჭრობის მონაწილე (ბირჟის წევრი)”** – საქართველოს საფონდო ბირჟის (შემდგომში “ბირჟა”) წევრი, რომელიც ასრულებს საქართველოს საფონდო ბირჟის მარეგულირებელი დოკუმენტებით დადგენილ მოთხოვნებს, რაც განაპირობებს მის მიერ საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემით სარგებლობის უფლების რეალიზებას (წესებში კონკრეტული ქმედებების შემთხვევაში შეიძლება იგულისხმებოდეს წევრის ბროკერი).
- 1.4. **“სავაჭრო განაცხადი”** – მყარი განაცხადი სავაჭრო სისტემაში ფასიანი ქაღალდის ყიდვაზე ან გაყიდვაზე, რომელშიც აღნიშნულია ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, ფასი და ვაჭრობის განხორციელებისათვის აუცილებელი სხვა მნიშვნელოვანი პირობები, დადგენილი ამ წესებისა და/ან ბირჟის მმართველი ორგანოს მიერ. ეს განაცხადი ავალდებულებს ბირჟის სავაჭრო სისტემაში გარიგებათა განხორციელების მიზნით შესულ ვაჭრობის მონაწილეებს, რომ განხორციელონ გარიგება ამ განაცხადში მოცემული პირობების შესაბამისად.
- 1.5. **“გარიგება”** – ხელშეკრულება, რომელიც არის ვაჭრობის მონაწილეებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის ნების გამოვლენა, რომლის მიხედვითაც, მას შემდეგ რაც სისტემის მიერ მოხდება მათი სავაჭრო განაცხადების პირობათა მისადაგება, თითოეული მხარე თავისი სავაჭრო განაცხადის საფუძველზე იღებს უპირობო ცალმხრივ ვალდებულებას საკლირინგო-საანგარიშსწორებო სისტემის მეშვეობით უზრუნველყოს მიწოდება

ფასიანი ქაღალდების – შესაბამისი თანხის მიღების უფლებით, თანხის – შესაბამისი ფასიანი ქაღალდების მიღების უფლებით.

- 1.6. **“გარიგების დადება ელექტრონული გზით” ან “გარიგების დადება”** – სისტემაში სავაჭრო განაცხადის ელექტრონული გზით გადატანა სავაჭრო განაცხადების თავმოყრის ადგილიდან ვაჭრობის შედეგების აღრიცხვის ადგილზე იმ სავაჭრო განაცხადების მითითებით, რომლებიც საფუძველად დაედო ამ გარიგებას და სავაჭრო სისტემაში შეტყობინების გაჩენა, განხორციელებული გარიგების პირობების შესახებ.
- 1.7. **“უზრუნველყოფის ანგარიში”** – წევრის პირობითი (დროებითი) ანგარიში, რომელიც, ვაჭრობის უზრუნველყოფის მიზნით, იქმნება სისტემაში წევრის განკარგულებაში არსებული სავაჭრო ანგარიშის საფუძველზე სავაჭრო სესიის დაწყების წინ და არსებობს სესიის დამთავრებამდე.
- 1.8. **“სავაჭრო ანგარიში”** – წევრის ან მისი კლიენტის დროებითი ანგარიში ცენტრალურ დეპოზიტარში, რომელზედაც იგი ვაჭრობის უზრუნველსაყოფად გადარიცხავს ფასიან ქაღალდებს და ფულად სახსრებს და რომლის საფუძველზეც სავაჭრო სისტემაში იქმნება უზრუნველყოფის ანგარიში.
- 1.9. **“განაცხადი მოხსნაზე”** – წევრის მიერ სავაჭრო სისტემაში გაკეთებული განაცხადი, რომელიც აუქმებს ამ წევრის მიერ ადრე გაკეთებულ სავაჭრო განაცხადს.
- 1.10. **“სავაჭრო სესია”** – საქართველოს კანონმდებლობის და ბირჟის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული განრიგის შესაბამისად ბირჟის სამუშაო დღის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მიმდინარეობს საბირჟო ვაჭრობა.
- 1.11. **“გარიგების დადების დრო”** – სავაჭრო სისტემის მიერ დაფიქსირებული დროის მომენტი, რომელშიც ხდება ელექტრონული გზით გარიგების დადება.
- 1.12. **“სავაჭრო განაცხადის (გარიგების) მოცულობა”** – სავაჭრო განაცხადის (გარიგების) ობიექტი ფასიანი ქაღალდის ერთეულების რაოდენობა.
- 1.13. **“სავაჭრო განაცხადის (გარიგების) ღირებულება”** – განაცხადის (გარიგების) ობიექტი ფასიანი ქაღალდის ერთეულების რაოდენობის და მისი ფასის ნამრავლი.
- 1.14. **“სტანდარტული ლოტი”** – ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, რომელიც ბირჟაზე მიღებულია სავაჭრო ერთეულად, ამ წესების მე-15 მუხლის შესაბამისად.
- 1.15. **“არასტანდარტული ლოტი”** – სავაჭროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების ნებისმიერი რაოდენობა.

- 1.16. **“კლიენტი”** – პირი, რომელმაც დადო ბროკერ-კლიენტის ხელშეკრულება საქართველოს საფონდო ბირჟის წევრთან.
- 1.17. **“ვაჭრობის ზედამხედველი”** – საქართველოს საფონდო ბირჟის საშტატო თანამშრომელი, რომელიც განახორციელებს კონტროლს საქართველოს საფონდო ბირჟის წევრთა მიერ წინამდებარე წესებისა და საქართველოს საფონდო ბირჟის სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვაზე.
- 1.18. **“კლიენტის შეკვეთა” ან “დავალება”** – კლიენტის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ბირჟის წევრისათვის მიცემული დავალება.
- 1.19. **“ბროკერი”** – საქართველოს საფონდო ბირჟის წევრის თანამშრომელი, რომელიც სათანადოდ უფლებამოსილია გააკეთოს სავაჭრო განაცხადი, რაც შეიძლება გახდეს გარიგების დადების საფუძველი.
- 1.20. **“ბროკერის ატესტირება”** – ბირჟის საკვალიფიკაციო კომისიის მიერ დადგენა, გააჩნია თუ არა ბროკერს საფონდო ბაზრის კანონმდებლობის, ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს (შემდგომში “მარეგულირებელი ორგანო”), საფონდო ბირჟისა და ცენტრალური დეპოზიტარის წესების საკმარისი ცოდნა, აგრეთვე შეესაბამება თუ არა ბროკერის კვალიფიკაცია სავაჭრო სისტემაში დაშვების მოთხოვნებს. დადებითი შედეგის შემთხვევაში ბროკერზე გაიცემა საკვალიფიკაციო ატესტატი (სერტიფიკატი).
- 1.21. **“სისტემაში შესვლა”** – წევრის მიერ სავაჭრო სისტემაში ჩართვა, რომელიც, მისი სტატუსის შესაბამისად, მას აძლევს საშუალებას გააკეთოს სავაჭრო განაცხადები და/ან მიიღოს ინფორმაცია სისტემიდან.
- 1.22. **“ცენტრალური დეპოზიტარი”** – იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს სავაჭრო სისტემაში დადებულ გარიგებათა ცენტრალურ კლირინგს და ანგარიშსწორებას.
- 1.23. **“სავაჭრო განაცხადის მინიმალური ბიჯი”** - თანხა, რომლის ჯერადითაც სავაჭრო განაცხადში გამოისახება ფასიანი ქაღალდის ფასი.
- 1.24. **“კოტირების ფასი”** – ბირჟის მიერ გამოცხადებული ფასიანი ქაღალდის ოფიციალური ფასი და/ან ფასთა ინტერვალი გარკვეული თარიღისთვის, გაანგარიშებული დადებული გარიგებებისა და/ან გაკეთებული სავაჭრო განაცხადების საფუძველზე, ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული მეთოდის შესაბამისად.

- 1.25. „გარიგების დაფიქსირება“ – წევრის მიერ საბირჟო ფასიან ქაღალდზე კანონმდებლობითა და მარეგულირებელი ორგანოს წესებით ნებადართული არასაბირჟო გარიგების დაფიქსირება სავაჭრო სისტემაში.
- 1.26. „სავაჭრო მოედანი“ - სავაჭრო სისტემის ნაწილი, რომელიც ხასიათდება ერთნაირი სავაჭრო პროცედურებით ან/და მასზე დაშვებული ფასიანი ქაღალდების რაიმე გარკვეული პარამეტრებით.
- 1.27. „პრიორიტეტული ფასი“ – ბირჟის მიერ დაფიქსირებული ფასიანი ქაღალდის ფასი და/ან ფასთა ინტერვალი გარკვეული თარიღისთვის, გაანგარიშებული დადებული გარიგებებისა და/ან გაკეთებული სავაჭრო განაცხადების საფუძველზე, ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული მეთოდის შესაბამისად. ფასიან ქაღალდზე კოტირების ფასის გამოცხადების შემთხვევაში ემთხვევა კოტირების ფასს.

2. ვაჭრობის წესების მოქმედების სფერო

- 2.1. ვაჭრობის წესები არეგულირებენ საქართველოს საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისა და ანგარიშსწორების განხორციელებისთვის, აგრეთვე სპეციალიზებული საბირჟო აუქციონის ჩატარებისათვის და გარიგებების დაფიქსირების განხორციელებისათვის საჭირო პროცედურებს და პირობებს ბირჟის წევრებისათვის, თუ ამ წესებში ეს სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

3. თანმხლები დოკუმენტები და დანართები

- 3.1. ამ წესებს შეიძლება დაერთოს დანართები, რომლებიც წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

4. სავაჭრო სისტემის მუშაობის საათები

- 4.1 სავაჭრო სისტემის მუშაობის საათებს (სავაჭრო სესიების რეგლამენტს) ადგენს ბირჟის გენერალური დირექტორი. ბირჟის გენერალურ დირექტორს შეუძლია შეცვალოს სავაჭრო სესიის საათები, რის შესახებაც ვაჭრობის მონაწილეებს უნდა მიეცეს შეტყობინება, სულ მცირე სამი სამუშაო დღით ადრე.

5. სავაჭრო სისტემაში სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდები

- 5.1. სავაჭრო სისტემაში სავაჭროდ დაიშვება იმ ემიტენტების ფასიანი ქაღალდები, რომლებიც აკმაყოფილებენ "საქართველოს საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ" დებულების მოთხოვნებს.

5.2. ფასიანი ქაღალდი სავაჭრო სისტემაში შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ ერთ ვალუტაში. იმ ფასიანი ქაღალდებისათვის, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დაშვებულია ბირჟაზე სავაჭროდ უცხოურ ვალუტაში, ტარდება სხვადასხვა სპეციალური სავაჭრო სესიები.

6. ბირჟის წევრთა უფლებები და მათდამი წაყენებული მოთხოვნები

6.1. ბირჟის წევრები, სავაჭრო სისტემაში მონაწილეობისას სარგებლობენ შემდეგი უფლებებით:

ბირჟის წევრს, უფლება აქვს ივაჭროს როგორც საკუთარი სახსრებით (ანგარიშით), ასევე კლიენტის სახსრებით (ანგარიშიდან), მათ შორის გამოიყენოს საკუთარი სახსრები კლიენტისათვის ფასიანი ქაღალდების შესაძენად.

6.2. ბირჟის თითოეულ წევრს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ლიცენზია და აკმაყოფილებდეს ბირჟის წევრობის დებულების მოთხოვნებს.

7. მომსახურების ღონეები

7.1. ბირჟის ყველა წევრს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია ან ბაზრის მონაცემები, რომლის მიღებაც დაშვებულია სავაჭრო სისტემის საშუალებით, სავაჭრო სესიის დროს სავაჭრო სისტემის მიერ შეგროვებული და გავრცელებული სავაჭრო განაცხადების და გარიგებების მონაცემების ჩათვლით. წევრს ეკრძალება ამ მიღებული ინფორმაციის რეპროდუცირება და გავრცელება ბირჟის ნებართვის გარეშე.

7.2. წევრებს სავაჭრო სისტემაში შეუძლიათ შეიტანონ სავაჭროდ დაშვებულ ნებისმიერ ფასიან ქაღალდზე სავაჭრო განაცხადი, ბირჟის მარეგულირებელი წესების გათვალისწინებით.

8. ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე წევრთა მოვალეობები

8.1. წევრი მოვალეა ჰყავდეს შესაბამისი კვალიფიკაციის, ბირჟის საკვალიფიკაციო კომისიის მიერ ატესტირებული ბროკერი (ბროკერები).

8.2. წევრმა უნდა უზრუნველყოს სისტემაში ბირჟის წევრის შესასვლელი პაროლისა და ინდივიდუალური პაროლების მიღება იმ ატესტირებული ბროკერებისათვის, რომლებიც დადგენილი წესით წევრის სახელით სავაჭროდ დაშვებულნი (აკრედიტებულნი) არიან ბირჟაზე. როგორც წევრი, ისე ბროკერი, ვალდებულია იზრუნოს პაროლის საიდუმლოდ დაცვაზე.

8.3. წევრი პასუხს აგებს შესაბამისი პაროლის საშუალებით სისტემაში შეტანილი სავაჭრო განაცხადებით ნაკისრ ვალდებულებებზე

- 8.4. წვერი მოვალეა შეზღუდოს სავაჭრო სისტემაში შეღწევის საშუალება ყველა პირისათვის, ბირჟაზე აკრედიტებული ბროკერების გარდა.
- 8.5. წვერი მოვალეა იქონიოს ყველა მიმდინარე ინფორმაცია აკრედიტებული ყველა ბროკერის შესახებ. ნებისმიერი ცვლილება ამ ინფორმაციაში სასწრაფოდ (არა უმეტეს ერთი სამუშაო დღის ვადაში) უნდა მიეწოდოს ბირჟის აღმასრულებელ დირექტორს წერილობითი სახით. ბროკერის აკრედიტაციის გაუქმების შესახებ მიმართვის მიღების მომენტიდან, ბირჟა უჩერებს შესაბამის ბროკერს სისტემაში მუშაობის შესაძლებლობას.
- 8.6. წვერი მოვალეა დანიშნოს ფირმის ერთი დირექტორი ან მენეჯერი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს იმას, რომ სავაჭრო სისტემა გამოყენებული იქნეს მხოლოდ აკრედიტებული პირების მიერ.
- 8.7. წვერი მოვალეა შექმნას და აწარმოოს სავაჭრო სისტემაში ვაჭრობის წერილობითი საზედამხედველო პროცედურა (რეგისტრაცია).
- 8.8. წვერს ეკრძალება შეიტანოს სავაჭრო სისტემაში ისეთი სავაჭრო განაცხადი, რომლის პირობებიც არ შეესაბამება ბაზარზე რეალურად არსებულ მდგომარეობას; წვერს აგრეთვე ეკრძალება სისტემაში შეიტანოს სავაჭრო განაცხადი სიცრუის, გაყალბების ან მანიპულირების მიზნით.
- 8.9. წვერს ეკრძალება სავაჭრო სისტემაში ისეთი ინფორმაციის შეტანა, რომელიც:
- ა) არ შეესაბამება სინამდვილეს ან იგი არ ფლობს საბუთებს, რომელიც ადასტურებენ ამას;
 - ბ) ხელს შეუშლის ბირჟის ნორმალურ მუშაობას ინფორმაციის მოგროვების და გავრცელების საქმეში.
- 8.10. სავაჭრო გარიგების განხორციელებისას, იქნება ეს საშუამავლო თუ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გარიგება, წვერი მოვალეა, რომ სამართლიანად მოექცეს თავის კლიენტს, გამოიჩინოს სათანადო ყურადღება კლიენტის შეკვეთის განხორციელებისას, რათა თითოეული გარიგება განხორციელოს კლიენტისათვის საუკეთესო ფასში და გაწეული მომსახურებისათვის დააკისროს მას სამართლიანი გადასახადი.
- 8.11. კლიენტის ან საკუთარი ინტერესებისათვის ვაჭრობისას, წვერი მოვალეა შეასრულოს სავაჭრო სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა ვალდებულება.
- 8.12. წვერი მოვალეა დაიცვას შეზღუდვები ბირჟიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებასა და გავრცელებაზე, ამ წესების 17.1 პუნქტის შესაბამისად.

9. სავაჭრო განაცხადით წარმოშობილი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება

9.1. წვერი თავისუფლება სისტემაში შესული სავაჭრო განაცხადით ნაკისრ ვალდებულებებისაგან შემდეგ შემთხვევებში:

- ა) ტერმინალის ან კავშირგაბმულობის ხაზის დაზიანებისას, როდესაც წვერის მიერ სავაჭრო სისტემის გამოყენება ფერხდება ან შეუძლებელი ხდება;
- ბ) დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული) პირობების დადგომისას.

9.2. წვერის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება მოხდება მას შემდეგ, რაც იგი შეატყობინებს სისტემის ოპერატორს ისეთი შემთხვევის დადგომის შესახებ, რომელიც მოყვანილია 9.1 პუნქტის “ა” და “ბ” ქვეპუნქტებში. შეტყობინების ფორმას, საშუალებებს და დროს განსაზღვრავს ბირჟის მმართველი ორგანო.

9.3. მას შემდეგ, რაც აღმოიფხვრება დამაბრკოლებელი გარემოებები, წვერის სისტემაში შესვლა ხორციელდება სტანდარტული პროცედურით.

10. სავაჭრო სისტემაში მონაწილეობის მიღების უფლების შეჩერება წვერისათვის ან ბროკერისათვის

10.1. სავაჭრო სისტემაში მონაწილეობის მიღების უფლების შეჩერება წვერისათვის ან ბროკერისათვის შეიძლება შემდეგ შემთხვევებში:

ა) ბირჟის მიერ ბროკერს ან წვერს დაეკისრა სანქცია, რომელიც დროებით ან საერთოდ აუქმებს მის უფლებას ივაჭროს ბირჟაზე;

ბ) მარეგულირებელმა ორგანომ შესაბამისი სანქცია დააკისრა ბროკერს ან წვერს;

გ) ბროკერი ან წვერი სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია (ან გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი) სისხლის სამართლის დანაშაულში, კერძოდ, ეკონომიკური დანაშაულის ჩადენაში და მის მიმართ გამოტანილი განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული;

დ) წვერმა, შესაბამისი ანგარიშსწორების თარიღიდან 15-ზე მეტი დღით გადააცილა ბირჟის მიერ დადგენილი საწვერო, შენატანების ან სხვა რომელიმე სახის გადასახდელის გადახდის ვადას;

ე) ამოიწურა ბირჟასთან დადებული ხელშეკრულებების ვადები;

ვ) წვერმა ბირჟას მიაწოდა ყალბი ინფორმაცია;

ზ) წვერი არ ასრულებს სავაჭრო სისტემაში დადებული გარიგებების მიხედვით ნაკისრ ვალდებულებებს.

11. საგანგებო მდგომარეობა ბაზარზე

11.1. ბაზარზე საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში, სტიქიური უბედურებების, ქვეყანაში ტელეკომუნიკაციების ან ელექტროენერგიით მომარაგების შეწყვეტის შემთხვევაში, სავაჭრო სისტემის კომპიუტერული ქსელის მწყობრიდან გამოსვლის ან სხვა ფორსმაჟორული მოვლენების დროს ბირჟის გენერალურ დირექტორს ან სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვთ დროებით შეწყვიტონ სავაჭრო სისტემის ფუნქციონირება.

12. სავაჭრო სისტემაში შესვლამდე საჭირო პროცედურები

12.1. თითოეული სავაჭრო სესიის დაწყებამდე წევრმა უნდა:

- ა) გადაამოწმოს მის განკარგულებაში არსებული ფასიანი ქაღალდები.
- ბ) გადაამოწმოს მის განკარგულებაში არსებული ფულადი საშუალებები.
- გ) შეამოწმოს თავისი სავაჭრო ტერმინალი.

13. სავაჭრო სისტემაში კლიენტის განაცხადის შეტანისათვის საჭირო წინასწარი პროცედურები

13.1. კლიენტისგან მიღებული დავალების შესრულებაზე თანხმობის მიცემამდე, წევრმა უნდა უზრუნველყოს კლიენტთან სათანადო წესით ხელშეკრულების დადება და დაიცვას შემდეგი პროცედურა:

- ა) ფასიანი ქაღალდების გაყიდვაზე დავალების შემთხვევაში შეამოწმოს კლიენტის საკუთრებაში მყოფი ფასიანი ქაღალდები და დარწმუნდეს, რომ ისინი იმყოფება ამ წევრის განკარგულებაში; მიიღოს ინფორმაცია სავაჭრო სისტემიდან უკანასკნელი ფასებისა და დადებული გარიგებების შესახებ დავალებაში აღნიშნულ ფასიან ქაღალდზე; ამასთან, წევრმა ხსენებული ინფორმაცია უნდა გააცნოს კლიენტს და მასთან შეათანხმოს გარიგების დადების პირობები, მათ შორის მაქსიმალური ვადა, რომლის შემდეგაც კლიენტის დავალება გაუქმებულად ჩაითვლება.
- ბ) ფასიანი ქაღალდების ყიდვაზე დავალების შემთხვევაში შეამოწმოს კლიენტის საკუთრებაში არსებული ფულადი სახსრები და დარწმუნდეს, რომ ისინი იმყოფება ამ წევრის განკარგულებაში; მიიღოს ინფორმაცია სავაჭრო სისტემიდან უკანასკნელი ფასებისა და დადებული გარიგებების შესახებ დავალებაში აღნიშნულ ფასიან ქაღალდზე; ამასთან, წევრმა ხსენებული ინფორმაცია უნდა გააცნოს კლიენტს და მასთან შეათანხმოს გარიგების დადების პირობები, კერძოდ მაქსიმალური ვადა, რომლის შემდეგაც კლიენტის დავალება გაუქმებულად ჩაითვლება.

13.2. კლიენტისგან მიღებული დავალების შესრულებაზე თანხმობის მიცემის შემდეგ, წევრმა სისტემაში უნდა შეიტანოს სავაჭრო განაცხადი. განაცხადი სისტემაში იქნება მის განხორციელებამდე ან მოხსნამდე.

14. სისტემაში სავაჭრო განაცხადის შეტანა

14.1. წევრმა სისტემაში უნდა შეიტანოს სავაჭრო განაცხადი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) განაცხადის წარმდგენი წევრის კოდი და/ან ნომერი;
- ბ) განაცხადის წარმდგენი ბროკერის კოდი და/ან ნომერი;
- გ) კლიენტის საიდენტიფიკაციო კოდი ან ანგარიშის ნომერი;
- დ) ფასიანი ქაღალდის დასახელება და კოდი;
- ე) განაცხადის ტიპი (ყიდვა, გაყიდვა ან განაცხადის მოხსნა);
- ვ) ფასიანი ქაღალდების რაოდენობა;
- ზ) ფასიანი ქაღალდის ერთეულის ფასი;
- თ) ცენტრალური დეპოზიტარის ან ფასიანი ქაღალდების იმ რეგისტრატორის დასახელება, რომელშიც აღრიცხულია ფასიანი ქაღალდები.
- ი) თანახმაა თუ არა დადონ გარიგება მისი განაცხადის მოცულობის ნაწილზე.

15. სავაჭრო განაცხადის პარამეტრები

15.1. ფასიანი ქაღალდის კოტირება და ყიდვაზე ან/და გაყიდვაზე განაცხადების შეტანა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოცემული ფასიანი ქაღალდისათვის განსაზღვრულ ერთ ვალუტაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ფასიანი ქაღალდისათვის კოტირების ვალუტას ადგენს ბირჟის სამეთვალყურეო საბჭო.

15.2. სავაჭრო განაცხადის ფასი წარმოადგენს რიცხვს, რომელიც შედგება:

- ა) წილობრივი ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში – არაუმეტეს 4 ციფრისაგან;
- ბ) სასესხო ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში – არაუმეტეს 7 ციფრისაგან, ამასთან, მძიმის შემდეგ ციფრების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 4-ს;

15.2¹. სავაჭრო განაცხადის მაქსიმალური მოცულობა მკაცრად უნდა იყოს 100 000 000 000-ზე (ას მილიარდი) ნაკლები;

15.3. სავაჭრო განაცხადის ღირებულება არ უნდა იყოს შესაბამისი ვალუტის 100 ერთეულზე ნაკლები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განაცხადის მოცულობა წარმოადგენს არასტანდარტულ ლოტს;

15.4. სავაჭრო სისტემაში შესაყვანი სავაჭრო განაცხადის მოქმედი სიდიდის ფორმირებისათვის, წევრმა უნდა შეიყვანოს განაცხადი, რომლის მოცულობა სტანდარტული ლოტის ტოლია, ან მისი ჯერადია, 15.3 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კერძოდ, სტანდარტული ლოტის სიდიდეა.

- 10 000, თუ ერთი ფასიანი ქალაქის ფასი უდრის ან აღემატება ვალუტის ერთეულის 0.01-ს, მაგრამ ვალუტის ერთეულის 0.1-ზე ნაკლებია;
- 1000, თუ ერთი ფასიანი ქალაქის ფასი უდრის ან აღემატება ვალუტის ერთეულის 0.1-ს, მაგრამ ვალუტის ერთეულის 1-ზე ნაკლებია;
- 100, თუ ერთი ფასიანი ქალაქის ფასი უდრის ან აღემატება ვალუტის ერთეულის 1-ს.

15.4¹. სავაჭრო სისტემაში შესაყვანი სავაჭრო განაცხადის მოქმედი სიდიდის ფორმირებისათვის, წევრმა შეიძლება შეიყვანოს განაცხადი, რომლის მოცულობა სტანდარტულ ლოტზე ნაკლებია 15.1 პუნქტის გათვალისწინებით.

15.5. გარდა წინამდებარე მუხლის მოთხოვნებისა სავაჭრო სისტემაში დასაშვებია არასტანდარტული ლოტებით სავაჭრო განაცხადების განხორციელება ამ წესების 17.3 და 17¹ პუნქტების შესაბამისად.

15.6. თუ წევრი არ არის თანახმა დადოს გარიგება მისი განაცხადის მოცულობის ნაწილზე, განაცხადს უნდა ახლდეს შესაბამისი შემზღუდავი ნიშანი – N. ასეთი შემზღუდავი პირობის შემცველი განაცხადის გამოყენება ვაჭრობის დროს შეიძლება მხოლოდ სპეციალურ სავაჭრო სესიაზე ან ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ასეთი განაცხადებისათვის სპეციალურად განსაზღვრულ დროს.

16. სავაჭრო განაცხადების სისტემაში შეყვანის წესები

16.1. სავაჭრო სესიის დროს სისტემაში სავაჭრო განაცხადის შეყვანის უფლება გააჩნიათ წევრებს, როგორც ეს ჩამოყალიბებულია ამ წესის 6.1. და 6.2. პუნქტებში.

16.2. სავაჭრო სესიის დროს სისტემაში სავაჭრო განაცხადის შეყვანა გულისხმობს, რომ წევრი პასუხისმგებელია ამ განაცხადში მითითებულ პირობებზე და ვაჭრობას და ანგარიშსწორებას განახორციელებს ამ განაცხადში ჩამოყალიბებული პირობების თანახმად.

16.3. სავაჭრო სესიაზე სისტემაში სავაჭრო განაცხადის შეტანამდე, წევრმა უნდა გადაამოწმოს, რომ მის უზრუნველყოფის ანგარიშზე არის განაცხადის შესაბამისი უზრუნველყოფის საკმარისი რესურსები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გარიგების განხორციელება.

სავაჭრო სესიის დაწყებამდე ბირჟის მომსახურე ცენტრალური დეპოზიტარი თითოეულ წევრს გადასცემს ამონაწერს (დეპოზიტარის საწყის ამონაწერს), რომელიც მოიცავს: ა) სესიის განხილვის ფასიანი ქალაქებისა და ფულადი სახსრების პოზიციას წევრის საკუთარ სავაჭრო ანგარიშზე და ბ) სესიის განხილვის ფასიანი ქალაქებისა და ფულადი სახსრების პოზიციას წევრის თითოეული კლიენტის სავაჭრო ანგარიშზე. ეს მონაცემები ხდება სავაჭრო

სესიაზე წევრის და მისი კლიენტების უზრუნველყოფის ანგარიშებზე საწყისი პოზიციების ფორმირების საფუძველი. სავაჭრო სესიის დაწყების შემდეგ წევრი ვალდებულია თვალყური ადევნოს ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების პოზიციების ცვლილებებს საკუთარ და მისი კლიენტების უზრუნველყოფის ანგარიშებზე, წარმოქმნილ სისტემაში გარიგებების დადების შედეგად. ამ მიზნით წევრმა უნდა აწარმოოს პოზიციების მონიტორინგი ხელით და არ დაეყრდნოს მხოლოდ სავაჭრო სისტემის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას მის და მის კლიენტთა უზრუნველყოფის ანგარიშებზე არსებული პოზიციების შესახებ.

16.4. წევრს შეუძლია განაახლოს ან მოხსნას განსაზღვრულ ფასიან ქაღალდზე არსებული სავაჭრო განაცხადი, ამ სავაჭრო განაცხადის საფუძველზე გარიგების დადებად.

16.5. ნებისმიერი სავაჭრო განაცხადი, რომელსაც წევრი წარადგენს სავაჭრო სისტემაში, რეალურად უნდა იყოს კავშირში ამ ფასიანი ქაღალდის პრიორიტეტულ ფასთან. ამ მიზნით ბირჟის მმართველი ორგანო ადგენს მეთოდუკას (ვაჭრობის წესების დანართი №3), რომლითაც სავაჭრო განაცხადების დასაშვებ ფასთა დერეფანი უკავშირდება ამ ფასიანი ქაღალდის პრიორიტეტულ ფასს.

16.6. განაცხადი სისტემაში იქნება მის განხორციელებამდე ან მოხსნამდე. სავაჭრო სესიის დამთავრების შემდეგ ყველა განაცხადი ავტომატურად იხსნება.

17. სავაჭრო სისტემის მიერ ნებადართული გარიგებების ტიპები და განხორციელების ხერხები

17.1. წევრს, რომელიც ბირჟის მიერ უფლებამოსილია ჩაერთოს სავაჭრო სისტემაში, ამ წესების მე-6 მუხლში მოცემულ უფლებათა გათვალისწინებით, შეუძლია განხორციელოს ფასიანი ქაღალდების სტანდარტული ლოტებით გარიგებები ქვემოთჩამოთვლილი ხერხებით:

ა) კონკრეტული ფასიანი ქაღალდის ყიდვისა თუ გაყიდვის მიზნით სავაჭრო სისტემაში სავაჭრო განაცხადის შეყვანა, რის შემდეგაც წევრი ელოდება, თუ როდის მოხდება ამ განაცხადის საფუძველზე სხვა წევრის მიერ ელექტრონული სავაჭრო სისტემის მეშვეობით გარიგების დადება. ამასთან, ასეთი გარიგების ფასი უდრის ამ განაცხადის ფასს, ხოლო მოცულობა არ აღემატება ამ განაცხადის მოცულობას.

ბ) ელექტრონული სავაჭრო სისტემის მეშვეობით გარიგების დადება სხვა წევრის მიერ ამ 17.1 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადრე გაკეთებული განაცხადის საფუძველზე.

გ) ელექტრონული სავაჭრო სისტემის მეშვეობით კლიენტისათვის გარიგების დადება, ამ წევრის მიერ 17.1 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის შესაბამისად – საკუთარ ან სხვა კლიენტის ინტერესებში – ადრე გაკეთებული სავაჭრო განაცხადის საფუძველზე. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს ამ წესების 18.3 პუნქტის მოთხოვნები.

დ) ელექტრონული სავაჭრო სისტემის მეშვეობით საკუთარ ინტერესებში გარიგების დადება, ამ წევრის მიერ 17.1 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის შესაბამისად კლიენტის ინტერესებში ადრე გაკეთებული სავაჭრო განაცხადის საფუძველზე. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს ამ წესების 18.1 პუნქტის მოთხოვნები.

ე) გარიგების დადება თავისი ორი კლიენტის (ან ამ წევრის და მისი კლიენტის) ყიდვისა და გაყიდვის დავალებების ელექტრონულ სავაჭრო სისტემაში ურთიერთმისადაგებით, კლიენტთა დავალებებისა და 18.2 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამასთან, ამ გარიგების ფასი უნდა იყოს გარიგების მომენტში სავაჭრო სისტემაში არსებულ ყიდვაზე განაცხადების ყველაზე მაღალ ფასსა და გაყიდვაზე განაცხადების ყველაზე დაბალ ფასების საშუალო არითმეტიკულის ტოლი.

17.2. ელექტრონულ სავაჭრო სისტემაში, 17.1 მუხლის შესაბამისად იქ ადრე არსებული განაცხადის საფუძველზე რაიმე ფასიან ქალაქზე გარიგების დადებისას, გარიგებები უნდა განხორციელდეს იმ თანმიმდევრობით (რანჟირებით), როგორც არის დალაგებული განაცხადები სავაჭრო სისტემაში; სავაჭრო სისტემა განაცხადთა რანჟირებისას პრიორიტეტს ანიჭებს ჯერ ფასიანი ქალაქის ფასს (გაყიდვისას – უფრო დაბალს, ხოლო ყიდვისას – უფრო მაღალს), შემდეგ – განაცხადის უფრო დიდ მოცულობას, და ბოლოს – უპირატესობა ენიჭება განაცხადის წარდგენის დროს.

17.3. წევრებს, რომლებიც ბირჟის მიერ უფლებამოსილნი არიან ჩაერთონ სავაჭრო სისტემაში, ამ წესების მე-6 მუხლში მოცემულ უფლებათა გათვალისწინებით, შეუძლიათ განახორციელონ ფასიანი ქალაქების არასტანდარტული ლოტებით გარიგებები ქვემოთჩამოთვლილი ხერხებით:

(ა) სხვადასხვა კლიენტების ორი ან მეტი შეკვეთის – თითოეული მათგანი სტანდარტულ ლოტზე ნაკლები ლოტით – გაერთიანება ერთ სტანდარტულ ლოტად (ან ერთი სტანდარტული ლოტის ჯერადად) იგივე ფასად და ერთიანი სავაჭრო განაცხადის შეყვანა სავაჭრო სისტემაში, რის შემდეგაც წევრი ელოდება, თუ როდის მოხდება ამ განაცხადის საფუძველზე სხვა წევრის მიერ ელექტრონული სავაჭრო სისტემის მეშვეობით გარიგების დადება.

- (ბ) გარიგებების დადება ელექტრონული სისტემის არასტანდარტული ლოტებით ვაჭრობის რეჟიმის გამოყენებით 17.1 პუნქტის “ა”, “ბ”, “გ”, “დ”, “ე” ქვეპუნქტებით და 17.2 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

17¹. გარიგებების დაფიქსირება სავაჭრო სისტემაში

17¹.1. სავაჭრო სისტემაში გარიგების დაფიქსირება ხორციელდება ყოველ სამუშაო დღეს ბირჟის მმართველი ორგანოს მიერ განსაზღვრულ დროის პერიოდში სავაჭრო სისტემის ადმინისტრატორისათვის ერთ ეგზემპლარად წარდგენილი განაცხადის საფუძველზე (დანართი №2), რომელშიც რეკვიზიტებთან ერთად აუცილებლად მითითებული უნდა იყოს ერთი ცალი ფასიანი ქაღალდის ფასი 17¹.3. პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა დაცვით და გარიგების მოცულობა - ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, ამასთან გარიგების ღირებულების მითითების შემთხვევაში გარიგების ღირებულება აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს ფასიანი ქაღალდების რაოდენობისა და ერთი ცალი ფასიანი ქაღალდის ფასის ნამრავლს.

17¹.2 სავაჭრო სისტემაში არასაბირჟო გარიგების დაფიქსირება შესაძლებელია:

17¹.2.1. საბროკერო კომპანიების მიერ ფასიანი ქაღალდებით ან ფასიანი ქაღალდებითა და ფულით უზრუნველყოფილი გარიგების სავაჭრო სისტემაში დადების გზით. ამ შემთხვევაში გარიგების დაფიქსირება ხდება ავტომატურად;

17¹.2.2. საბროკერო კომპანიების მიერ ბირჟის გარეთ დადებული გარიგების სავაჭრო სისტემაში დაფიქსირების განაცხადის წარდგენის გზით, რომლის ასახვა სისტემაში ხორციელდება სისტემის ადმინისტრატორის მიერ, “საჯარო ფასიანი ქაღალდებით გარიგებების საქართველოს საფონდო ბირჟაზე დაფიქსირების ზოგადი წესით” განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

17¹.3. გარიგების დაფიქსირების შემთხვევაში:

ა) გარიგების ფასი ფასიანი ქაღალდის ერთეულზე წარმოადგენს რიცხვს, რომელიც შედგება არაუმეტეს 7 (შვიდი) ციფრისაგან, ამასთან მძიმის შემდეგ ციფრების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5-ს (ხუთს);

ბ) გარიგების მაქსიმალური მოცულობა (ფასიანი ქაღალდების რაოდენობა) მკაცრად უნდა იყოს 100 000 000 000-ზე (ასი მილიარდი) ნაკლები.

იმ შემთხვევაში, თუ გარიგების მოცულობა აღემატება 17¹.3. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მოცემულ პარამეტრებს, შესაძლებელია საბროკერო კომპანიის წერილობითი განცხადების საფუძველზე საბროკერო კომპანიის მიერ ამ გარიგების სავაჭრო სისტემაში ასახვა რამოდენიმე ლოტად დაყოფის გზით. ამ ხერხით დაფიქსირება ჩაითვლება ერთი გარიგების დაფიქსირებად

17^{1.4}. როდესაც 17^{1.2.1}. პუნქტში აღწერილი გზით ხორციელდება არასაბირჟო გარიგების დაფიქსირება, საბროკერო კომპანიამ გარიგების უზრუნველყოფისათვის საჭირო პროცედურები ბირჟის მომსახურე ცენტრალურ დეპოზიტარში უნდა დაასრულოს გარიგების დაფიქსირებისთვის განსაზღვრული პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს 30 წუთით ადრე.

17^{1.5}. ნაწილობრივ ან არაუზრუნველყოფილი გარიგებების ანგარიშსწორებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ გარიგების მხარეებს.

17^{1.6}. ამ წესების მე-10 მუხლით გათვალისწინებული დარღვევების არსებობის შემთხვევაში ბირჟა უფლებამოსილია არ მიიღოს საბროკერო კომპანიისაგან სავაჭრო სისტემაში გარიგების დაფიქსირების განაცხადი.

18. წევრებისათვის გარიგების განხორციელებაზე შეზღუდვები

18.1. წევრს ეკრძალება გარიგების დადება თუ:

- ა) გარიგების ორივე მხარე არის ერთი და იგივე კლიენტი და წევრმა იცოდა, ან ჰქონდა საფუძველი სცოდნოდა ამ გარემოების შესახებ;
- ბ) გარიგების ორივე მხარე არის თვით წევრი, მოქმედი საკუთარ ინტერესებში;
- გ) ამ გარიგების ფასი ბაზრის არსებული მდგომარეობისა და კლიენტის დავალების გათვალისწინებით ამ კლიენტისათვის არ არის საუკეთესო.

18.2. როდესაც წევრი გარიგებას დებს 17.1 პუნქტის “ე” ქვეპუნქტში აღწერილი ხერხით, იგი ვალდებულია, ასეთი გარიგების დადებამდე, 17.1 პუნქტის “ა” ქვეპუნქტში მოცემული გზით, გააკეთოს სავაჭრო განაცხადები, როგორც გაყიდვაზე ასევე ყიდვაზე, ამ დაგეგმილი გარიგების სრული მოცულობით მასში მონაწილე კლიენტების სახელით და სულ მცირე, 3 წუთის განმავლობაში დაელოდოს სხვა წევრებისგან მათზე გამოხმაურებას. ამასთან:

- ა) თუ სავაჭრო სისტემაში არსებობს განაცხადები როგორც ყიდვაზე, ასევე გაყიდვაზე, მაშინ გაყიდვაზე და ყიდვაზე ასეთი სავაჭრო განაცხადების ფასები უნდა იყოს სავაჭრო სისტემაში არსებულ გაყიდვის ყველაზე დაბალ და ყიდვის ყველაზე მაღალ ფასების შორის და, თანაც, უნდა განსხვავდებოდეს, შესაბამისად, გაყიდვის ყველაზე დაბალი და ყიდვის ყველაზე მაღალი ფასებისგან არა ნაკლებ, მათ შორის სხვაობის, 10%-ით;
- ბ) თუ სავაჭრო სისტემაში არსებობს მხოლოდ განაცხადები ყიდვაზე, მაშინ ყიდვაზე ასეთი სავაჭრო განაცხადების ფასი უნდა იყოს შესყიდვის უმაღლეს ფასზე მეტი, ხოლო გაყიდვაზე განაცხადის ფასი – ნებისმიერი, დაშვებული სავაჭრო სისტემის მიერ;

- გ) თუ სავაჭრო სისტემაში არსებობს განაცხადები მხოლოდ გაყიდვაზე, მაშინ გაყიდვაზე ასეთი განაცხადების ფასი უნდა იყოს გაყიდვის ყველაზე დაბალ ფასზე ნაკლები, ხოლო ყიდვაზე განაცხადის ფასი – ნებისმიერი, დაშვებული სავაჭრო სისტემის მიერ;
- დ) თუ სავაჭრო სისტემაში არ არის საერთოდ არც ერთი განაცხადი ამ ფასიან ქალაქზე, მაშინ ასეთი სავაჭრო განაცხადების ფასი შეიძლება იყოს ნებისმიერი, დაშვებული სავაჭრო სისტემის მიერ.
- ე) ამ წესების მე-20 მუხლში აღწერილი პრიორიტეტების შესაბამისად, ჯერ კეთდება ის განაცხადი, რომელზე დავალებაც წევრს კლიენტისგან უფრო ადრე ჰქონდა მიღებული;
- ვ) თუ აღნიშნულ სამ წუთიან დროის ინტერვალში სავაჭრო სისტემაში არ გაკეთდა ახალი განაცხადი, რომლის ფასიც ნაკლებია ამ პუნქტით მოთხოვნილი გაყიდვაზე განაცხადის და მეტია ყიდვაზე განაცხადის ფასისა, ან სხვა წევრმა არ დალო გარიგება ამ განაცხადების საფუძველზე, მაშინ 17.1 პუნქტის “ე” ქვეპუნქტით ნებადართული გარიგება შეიძლება განხორციელდეს ამ განაცხადების ფასების საშუალო არითმეტიკულის ტოლ ფასში.

19. მოთხოვნები გარიგებების ანგარიშგებაზე

- 19.1. წევრის მიერ ელექტრონული სავაჭრო სისტემის მეშვეობით გარიგების დადებისას, სისტემა ავტომატურად ადგენს ანგარიშს გარიგების შესახებ, რომელიც ბირჟის მიერ აღირიცხება მარეგულირებელი მიზნებისათვის, სავაჭრო სისტემის საშუალებით მიეწოდება სხვა წევრებს და ვრცელდება საჯაროდ იმ საინფორმაციო არხებით, რომლითაც ბირჟა კომერციულ საფუძველზე უზრუნველყოფს საფონდო ბაზრის მონაცემთა გამავრცელებელ სააგენტოებს.
- 19.2. სავაჭრო სესიის დამთავრების შემდეგ, ელექტრონული სავაჭრო სისტემის მეშვეობით, ვაჭრობის მონაწილეებს მიეწოდება ანგარიში მათ მიერ დადებული გარიგებების შესახებ, რომელიც საფუძვლად ედება შემდგომ ცენტრალურ კლირინგსა და ანგარიშსწორებას.
- 19.3. საბირჟო ვაჭრობის შედეგების (კოტირების) შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ვრცელდება ბირჟის მიერ დადგენილი წესით იმ საინფორმაციო საშუალებების (სააგენტოების) მეშვეობით, რომლებსაც დადებული აქვთ ბირჟასთან შესაბამისი ხელშეკრულება ინფორმაციის გავრცელებაზე.

20. სავაჭრო განაცხადის სავაჭრო სისტემაში შეყვანის პრიორიტეტები

- 20.1. საკუთარ ინტერესებში სავაჭრო განაცხადის განხორციელებამდე, წევრი მოვალეა განახორციელოს სავაჭრო განაცხადი კლიენტის ინტერესებში, თუ ასეთი დავალება მას გააჩნია.
- 20.2. თუ წევრს გააჩნია ორი ან მეტი მსგავსი დავალება კლიენტებისგან, მან ისინი უნდა განახორციელოს მათი მიღების მომენტის შესაბამისი თანმიმდევრობით.
- 20.3. თუ წევრი იღებს ორ ან მეტ შეკვეთას ერთი და იგივე დროს, განაცხადის განხორციელების პრიორიტეტის მინიჭება ხდება ფასის მიხედვით – უპირატესობა ენიჭება გაყიდვისას ყველაზე დაბალ ფასს და ყიდვისას ყველაზე მაღალ ფასს.
- 20.4. წევრის კლიენტების დავალებებს შორის პრიორიტეტი გააჩნია იმ კლიენტთა დავალებებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ამ წევრის პარტნიორს, აქციონერს ან თანამშრომელს.

21. ზედამხედველობა

- 21.1. წინამდებარე ვაჭრობის წესების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს ბირჟის ვაჭრობაზე ზედამხედველობისა და დისციპლინური სამსახური და საჭიროების შემთხვევაში იღებს ზომებს ბირჟის პროცედურული კოდექსის, ეთიკის კოდექსისა და სხვა მარეგულირებელი წესების შესაბამისად.

22. ამ წესებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

- 22.1. ამ წესებში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით.
- 22.2. ბირჟის ვაჭრობის კომიტეტმა შესაძლოა, დროდადრო სამეთვალყურეო საბჭოს შესთავაზოს ამ წესებში ცვლილებების შეტანა ან თვითონ ამ საბჭოს შეუძლია გამოიჩინოს საკუთარი ინიციატივა.

სპეციალიზებული საბირჟო აუქციონი

1. სპეციალიზებული საბირჟო აუქციონის სესიების ჩატარების დრო და ხანგრძლივობა
 - 1.1. სპეციალიზებული საბირჟო აუქციონი ტარდება ბირჟის სავაჭრო სისტემის გამოყენებით ფასიანი ქაღალდების გაყიდვის მომსახურების გაწევის მიზნით ბირჟის ვაჭრობის წესების და ამ დანართის შესაბამისად.
 - 1.2. სპეციალიზებული საბირჟო აუქციონის სესიები (შემდგომში „აუქციონის სესიები“) ტარდება ბირჟის ვაჭრობის დღეებში სავაჭრო სესიებისგან განსხვავებულ დროის პერიოდში. აუქციონის სესიის ხანგრძლივობა შეადგენს 30 წუთს. აუქციონის სესიების დაწყების დროს ადგენს ბირჟის სამეთვალყურეო საბჭო.
2. სპეციალიზებულ საბირჟო აუქციონზე წევრების წარმომადგენლის შერჩევის წესი და უფლებამოსილებანი
 - 2.1. ბირჟის წევრის წარმომადგენელი (შემდგომში "გამყიდველი წევრი"), ყოველი საბირჟო აუქციონის წინ აფორმებს ხელშეკრულებას სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ფასიანი ქაღალდების განკარგვაზე უფლებამოსილ ორგანოსთან (დაწესებულებასთან) (შემდგომში – "გამყიდველი"), რომელსაც ბირჟასთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სპეციალიზებული აუქციონის ორგანიზების შესახებ მის საკუთრებაში არსებულ ფასიანი ქაღალდების სპეციალიზებულ საბირჟო აუქციონზე გატანის თაობაზე. გამყიდველი წევრი შეიძლება იყოს ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული ნებისმიერი წევრი, რომელიც ყოველი სპეციალიზებული საბირჟო აუქციონისათვის აირჩევა ბირჟის წევრთა კრებაზე (შემდგომში – "კრება"). ერთი და იგივე წევრი გამყიდველ წევრად შეიძლება გამოვიდეს რამდენიმე სპეციალიზებულ საბირჟო აუქციონზე.
 - 2.2. კრება მოიწვევა ბირჟის გენერალური დირექტორის მიერ სპეციალიზებული საბირჟო აუქციონის გამოცხადებიდან 10 დღის ვადაში. კრების ჩატარებამდე სამი დღით ადრე ბირჟის საინფორმაციო დაფაზე გამოკრული უნდა იყოს სპეციალური განცხადება მისი მოწვევის შესახებ. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი წევრი, რომელიც კრების მონაწილეთა ხმათა უმრავლესობას მიიღებს. ორი ან მეტი კანდიდატის მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში მათი კანდიდატურები გადაეცემა გამყიდველს, რომელიც თვითონ შეარჩევს წევრს წარდგენილი კანდიდატებიდან.
 - 2.3. კრების გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება გამყიდველი წევრის უფლებამოსილებასა და ბირჟის წევრთა მიერ მისი მომსახურების ანაზღაურებას, ძალაშია კრების მონაწილეთა რაოდენობის მიუხედავად და ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს ბირჟის გენერალური დირექტორი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.
 - 2.4. კრების ოქმის ასლი ერთი სამუშაო დღის ვადაში შესათანხმებლად ეგზავნება გამყიდველს. ამ შეთანხმების საფუძველზე გამყიდველი წევრი კრებიდან ორი დღის ვადაში აფორმებს ხელშეკრულებას გამყიდველთან სპეციალიზებულ საბირჟო აუქციონზე ფასიანი ქაღალდების მინიმალური გასაყიდი ფასის,

ბირჟასთან შეთანხმებული გასატანი რაოდენობის, გატანის გრაფიკის და სხვა პირობების შესახებ.

3. ინფორმაციის გავრცელება აუქციონის სესიის ჩატარების შესახებ

3.1. ბირჟა ვალდებულია უზრუნველყოს აუქციონის სესიაზე გასაყიდად გამოტანილი ფასიანი ქაღალდების რაოდენობის შესახებ გადაწყვეტილების გავრცელება აუქციონის სესიის ჩატარების წინა სამუშაო დღის დაწყებამდე. ინფორმაცია უნდა იქნას გამოკრული საფონდო ბირჟის საინფორმაციო დაფაზე და/ან გავრცელებული ელექტრონული სახით.

4. სავაჭრო განაცხადების სისტემაში შეტანის წესები

4.1. აუქციონის სესიები ტარდება ბირჟის სავაჭრო სისტემის გამოყენებით და ვაჭრობის წესების დაცვით იმ განსხვავებით, რომ აუქციონის განმავლობაში მის მონაწილეებს გააჩნიათ ინფორმაცია სხვა მონაწილეების მიერ გაკეთებული განაცხადების მხოლოდ ფასების შესახებ.

4.2. ფასიანი ქაღალდების შეძენის მსურველების მომსახურე წევრებს (შემდგომში “მყიდველი წევრი”) შეუძლიათ შეიტანონ სისტემაში სავაჭრო განაცხადები ყიდვაზე აუქციონის სესიის პირველი 25 წუთის განმავლობაში. განაცხადების შეტანის წესები და პრიორიტეტები უნდა შეესაბამებოდეს ვაჭრობის წესებს. აუქციონის სესიის დაწყებიდან 25-ე წუთის შესრულების შემდეგ ყველა განაცხადი ყიდვაზე ბათილია.

4.3. ყიდვაზე განაცხადის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს აუქციონის სესიაზე გასაყიდად გამოტანილი ფასიანი ქაღალდების მოცულობას და მისი ფასი ტოლი ან მეტი უნდა იყოს გამოცხადებულ მინიმალურ გასაყიდ ფასზე.

4.4. მყიდველი წევრის მიერ ყიდვაზე გაკეთებული განაცხადების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მათ უზრუნველყოფის ანგარიშზე რიცხულ თანხას.

4.5. გამყიდველი წევრი ვალდებულია მოამზადოს და დაამოწმოს სავაჭრო განაცხადები გაყიდვაზე აუქციონის სესიის 25-ე წუთის შესრულებიდან 5 წუთის განმავლობაში შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) გაყიდვაზე განაცხადში მითითებული ერთი ფასიანი ქაღალდის ფასი უნდა იყოს გამყიდველის მიერ დაწესებული მინიმალური ფასის ტოლი.

ბ) გაყიდვაზე განაცხადის მოცულობა უნდა იყოს მოცემული ემიტენტის აუქციონის სესიაზე გაცხადებული გასაყიდი ფასიანი ქაღალდების რაოდენობის ტოლი.

გ) გაყიდვაზე განაცხადი არ უნდა კრძალავდეს გარიგების დადებას განაცხადის მოცულობის ნაწილზე (არ უნდა შეიცავდეს შემზღუდველ ნიშანს).

4.6. თუ გამყიდველი წევრი 5 წუთის განმავლობაში არ აკეთებს განაცხადებს გაყიდვაზე, ეს ჩაითვლება საქართველოს საფონდო ბირჟის ეთიკის კოდექსის 8.1.8 მუხლის დარღვევად. ასეთ შემთხვევაში სავაჭრო სისტემაში გაყიდვაზე სავაჭრო განაცხადების გამყიდველი წევრის სახელით შეტანას და დამოწმებას ახორციელებს ბირჟის გენერალური დირექტორის მიერ დანიშნული აუქციონის ზედამხედველი, ხოლო დამრღვევ გამყიდველ წევრს შეუჩერდება სავაჭრო სისტემაში დაშვება ბირჟის მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებამდე.

- 4.7. აუქციონის სესია იხურება 30-ე წუთის შესრულებისთანავე, რის შემდეგაც ბირჟა ვალდებულია აცნობოს სესიაში მონაწილე წევრებს მათ მიერ შეძენილი ფასიანი ქაღალდების მოცულობების შესახებ.
5. განაცხადების დაკმაყოფილების წესები და პრიორიტეტები
 განაცხადები დაკმაყოფილება აუქციონის დამთავრების მომენტში ფასიანი ქაღალდების ყიდვაზე განაცხადში დაფიქსირებულ ფასად, შემდეგი პრიორიტეტების გათვალისწინებით:
- 5.1. პირველ რიგში კმაყოფილება ის განაცხადი, რომლის ფასიც უფრო მაღალია;
 - 5.2. იმ შემთხვევაში, თუ ორ ან მეტ განაცხადს გააჩნია ერთნაირი ფასი, უპირატესობა ენიჭება იმ განაცხადს, რომლის მოცულობაც მეტია;
 - 5.3. იმ შემთხვევაში, თუ ფასიც და მოცულობაც ერთნაირია, მაშინ უპირატესობა ეძლევა იმ განაცხადს, რომელიც უფრო ადრე იყო შეტანილი სავაჭრო სისტემაში.
 - 5.4. აუქციონის სესიის დამთავრების მომენტში არსებული გამარჯვებული განაცხადები სავალდებულოა შესასრულებლად, მათ შორის ის ბოლო განაცხადიც, რომლის მოცულობაც აღემატება დარჩენილი ფასიანი ქაღალდების რაოდენობას. ეს უკანასკნელი კმაყოფილება დარჩენილი ფასიანი ქაღალდების რაოდენობის ფარგლებში.
6. აუქციონის შედეგების ანგარიშის ჩაბარება
 გამყიდველი წევრი ვალდებულია გამყიდველს ჩააბაროს ანგარიში აუქციონის შედეგების შესახებ, მასთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით.
7. აუქციონის მომსახურების ანაზღაურება
- 7.1. აუქციონის შედეგების მიხედვით წევრების, ბირჟისა და მისი მომსახურე ცენტრალური დეპოზიტარისათვის განკუთვნილი საკომისიო გადასახდელი განისაზღვრება დებულებით „საქართველოს საფონდო ბირჟის წევრების შესახებ“ და დებულებით „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის წევრთა შესახებ“;
- 7.2. გამყიდველის მიერ მომსახურების გასამრჯელოს სახით ბირჟისათვის გადასახდელი თანხა შეადგენს:

როდესაც	$P < P_0 + 0.03 \cdot P$	$R_p = v \cdot (P - P_0)$
როდესაც	$P \geq P_0 + 0.03 \cdot P$	$R_p = 0.03 \cdot P \cdot v$

- P_0 – ერთი აქციის საწყისი ფასი (მინიმალური გასაყიდი ფასი);
- P – ვარიანტების დროს დაფიქსირებული ერთი აქციის ფასი;
- v – ვარიანტების მოცულობა (აქციების რაოდენობა);
- R_p – გამყიდველის გადასახდელი ბირჟის კუთვნილი მომსახურების გასამრჯელო.

ივსება ბირჟის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ

**ფასიანი ქაღალდებით გარიგებების
სავაჭრო სისტემის მეშვეობით დაფიქსირების
ბანაცხავი № _____**

ხელმოწერა _____ მიღების თარიღი " _____ " _____ 200 წ

ივსება საბროკერო კომპანიის მიერ

საბროკერო კომპანიის დასახელება _____

გთხოვთ სავაჭრო სისტემის მეშვეობით დააფიქსიროთ შემდეგი გარიგებები:

ემიტენტის სახელწოდება _____

ფასიანი ქაღალდის კლასი _____

ფქსსნ _____ კოდი სავაჭრო სისტემაში _____

გარიგებების სახე 100 ლარზე ზემოთ ღირებულების ნასყიდობა სატენდერო შეთავაზებით
(აღნიშნეთ): გამოსყიდვა („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53¹ მუხლის შესაბამისად)

საწესდებო კაპიტალში შენატანის საჯარო ფასიანი ქაღალდებით შესრულება

№*	ერთეულის ფასი**	ფასიანი ქაღალდების რაოდენობა	გარიგების ღირებულება**

*გარიგებების დიდი რაოდენობისას, დასაშვებია ამ ცხრილის ცალკე დანართის სახით წარმოდგენა.
** ფასიანი ქაღალდის ერთეულის ფასი და გარიგების ღირებულება აუცილებლად მითითებული უნდა იყოს იმ ვალუტაში, რომელშიც ივაჭრება ბირჟაზე ეს ფასიანი ქაღალდი

გარიგებების დადების თარიღი _____

გარიგებები უზრუნველყოფილია

ფულით ფასიანი ქაღალდებით

შენიშვნები:

საბროკერო კომპანიის
უფლებამოსილი წარმომადგენელი _____ / _____ / ბ.ა.

სავაჭრო განაცხადების დასაშვებ ფასთა ღერეფნის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. დასაშვებ ფასთა ღერეფანი

სავაჭრო სისტემაში დაშვებულ ფასიან ქალაქებზე შეიძლება დაწესებულ იქნას ფასთა ღერეფანი. ასეთი ფასიანი ქალაქებისათვის სავაჭრო განაცხადში მითითებული ფასის სიდიდე უნდა იყოს ამ ფასთა ღერეფანში. ყოველი სესიისთვის განაცხადების ფასთა ღერეფანი აითვლება ფასიანი ქალაქის პრიორიტეტული ფასიდან. კერძოდ, თუ პრიორიტეტული ფასია PP და განაცხადის ფასია P , მაშინ უნდა კმაყოფილდებოდეს პირობები:

$$\text{შესყიდვის განაცხადის ფასისათვის: } P \leq (1 + \delta) \times PP;$$

$$\text{გაყიდვის განაცხადის ფასისათვის: } P \geq (1 - \delta) \times PP,$$

სადაც δ – ღერეფნის სიდიდეა.

δ შეიძლება იყოს განსხვავებული ფასიანი ქალაქების სხვადასხვა ჯგუფისათვის (მოედნისათვის). მისი განსაზღვრა, შესაბამისი მოედნის ჩამოყალიბება და ფასიანი ქალაქების მიკუთვნება შესაბამისი δ -ს მქონე მოედნისათვის ხდება ბირჟის გენერალური დირექტორის ბრძანებით.

განსაკუთრებული მოვლენების შემთხვევაში (ბაზარზე განვითარებული მოვლენები, ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული მოვლენები, რომლებიც მის ფასზე ახდენს ისეთ ზეგავლენას, რომლისთვისაც არსებული ღერეფანი არ არის ადეკვატური) გენერალურ დირექტორს უფლება აქვს სესიის დაწყებამდე, ან თვით სესიის განმავლობაში ტექნიკური შესვენების გამოცხადებით ფასიანი ქალაქი მიაკუთვნოს ადეკვატური δ -ს მქონე მოედანს.

2. პრიორიტეტული ფასის გაანგარიშება ფასიანი ქალაქებისათვის

პრიორიტეტული ფასი განისაზღვრება ყოველი სესიის დაწყებამდე, როგორც ამ ფასიან ქალაქზე წინა სავაჭრო სესიის განმავლობაში დადებული გარიგებების საშუალო შეწონილი ფასი.

სავაჭრო სესიის i -ური ფასიანი ქალაქის საშუალო შეწონილი ფასის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი ფორმულით:

$$AP_i = \frac{\sum_{k=1}^n (P_{ik} \times Q_{ik})}{\sum_{k=1}^n Q_{ik}}$$

სადაც, AP_i - i -ური ფასიანი ქაღალდის საშუალო შეწონილი ფასია, P_{ik} - i -ური ფასიანი ქაღალდის k -ური გარიგების ფასია, ხოლო Q_{ik} - i -ური ფასიანი ქაღალდის k -ური გარიგების მოცულობაა.

თუ წინა სავაჭრო სესიის დროს მოცემულ ფასიან ქაღალდზე გარიგებები არ იყო დაფიქსირებული, მაშინ ფასიანი ქაღალდის პრიორიტეტულ ფასად ითვლება წინა სავაჭრო სესიისათვის განსაზღვრული პრიორიტეტული ფასი.

საგნობრივი საძიებელი

<p>არასტანდარტული ლოტი.....5, 15</p> <p>ბიჯი5</p> <p>ბირჟის წევრი.....3, 5, 6, 7</p> <p>ბროკერი.....3, 5, 7, 9</p> <p>ცენტრალური დებოზიტარი5, 11</p> <p>დავალება.....5, 10, 17</p> <p>ელექტრონული სავაჭრო სისტემა.....3</p> <p>განაცხადი მოხსნაზე.....4</p> <p>გარიგება.....3, 4, 6, 8, 11, 12</p> <p>გარიგების დადება.....4, 13, 14, 15</p> <p>გარიგების დაღების დრო4</p> <p>კლიენტი.....5, 15</p> <p>კლიენტის შეკვეთა5</p> <p>კოტირების ფასი5</p> <p>სავაჭრო ანგარიში.....4</p> <p>სავაჭრო განაცხადი.. 3, 4, 5, 7, 8, 9, 11, 12, 13, 14, 15, 17</p>	<p>სავაჭრო განაცხადის (გარიგების) მოცულობა 4</p> <p>სავაჭრო განაცხადის (გარიგების) ლირებულება 4</p> <p>სავაჭრო განაცხადის მინიმალური ბიჯი..... 5</p> <p>სავაჭრო სესია..... 4</p> <p>სავაჭრო სისტემა.....3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17</p> <p>სერტიფიცირება 5</p> <p>სისტემა3, 8, 14, 16</p> <p>სისტემაში შესვლა5, 9, 10</p> <p>სტანდარტული ლოტი.....4, 11, 15</p> <p>უზრუნველყოფის პოზიცია..... 4</p> <p>ვაჭრობა.....3, 4</p> <p>ვაჭრობის მონაწილე.....3, 6, 17</p> <p>ვაჭრობის ზედამხედველი 5</p>
--	--